

ქეთევან მარგიანი¹

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

<https://doi.org/10.52340/sou.2023.21.18>

**სვანური ლიმოორევი (განსჯა, შუამდგომლობა,
მედიატორობა)²**

კოლოკაციების ეთნოლინგვისტური ანალიზი

აბსტრაქტი. სვანეთი ქართული ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის უძველესი კერაა. ხატოვნად სვანეთს „ათასი კოშკის მხარეს“ და ეთნოგრაფიულ „კალეიდოსკოპს“ უწოდებენ.

ეთნოლინგვისტიკაში ტერმინით კოლოკაცია აღინიშნება ტრადიციებით გამაგრებული სხვადასხვა სტერეოტიპული ქცევა (წეს-ჩვეულება, რიტუალი), რომელიც გამოსატულია მყარი ენობრივი ერთეულით.

სვანურში გამოვლინდა ლიმოორევთან (შუამდგომლობა, განსჯა, სამართალი, მედიატორობა) დაკავშირებული ათეულობით კოლოკაცია: **ლედ ი სამგრთაღ** - კანონ-სამართალი. **მორევ მარე** - მსაჯული, საქმის მომგვარებელი, მედიატორი. **ლიმორევ** - განსჯა, მსჯავრის დადება, გამართლება, მედიატორობა. **ბაჩ ლილჯუნი** - (ქვის ჩარგვა) განაჩენი, საქმის მოგვარება. **ლიწვრი** - სისხლის აღება. **ლიმბაწი / ლიმბაწაღ** - მედიატორობისას დაფიცება (შდრ. **ლიღვწე** - ძვირფასი ადამიანის დაფიცება, მნიშვნელობით: გეფიცები). **ვერი მგქდენი** - მოღალატე, (მიწის ამცდენი). **ლიჩვრბე** - ჩაგვრა, აბუჩად აგდება. **ლიმწვედი / ლიმწოდაღ** - გამართლება, თავის მართლება. **ნაერთგულები მაღვრა** - ერთგულების ფიცი...

¹ **ქეთევან მარგიანი.** ფილოლოგიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

² კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი № FR-21-2100)

პუბლიკაციაში წარმოდგენილია კოლოკაციების ეთნოლინგვისტური ანალიზი. შესწავლილია ამ ფრაზეოლოგიზმების გამოყენების კონტექსტი, სტრუქტურა და სემანტიკა. გაირკვა, რომ აღნაგობის მიხედვით სვანურში გვხვდება როგორც ზმნურკომპონენტის, ასევე ოდენ სახლური სტრუქტურის კოლოკაციები.

ქართველოლოგიაში ითვლება, რომ ქართველურ ენათა შორის სვანური ყველაზე მეტად ხასიათდება არქაულობით. შესაბამისად, სამართალთან, წეს-ჩვეულებებთან, ლიმოორევის რიტუალებთან დაკავშირებული სვანური ფრაზეოლოგიზმებისა და კოლოკაციების ეთნოლინგვისტური ასპექტით კვლევა იძლევა უაღრესად საინტერესო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას.

საკვანძო სიტყვები: სვანური, არქაული, კოლოკაციები, ეთნოლინგვისტიკა, რიტუალები.

Ketevan Margiani

Sokhumi State University

Limoorew in Svan (Judgment, Mediation)³

Ethnolinguistic Analysis of Collocations

Abstract

Svaneti is the ancient center of Georgian culture and statehood. Figuratively, it is often called "the side of a thousand towers" and the ethnographic "kaleidoscope".

In ethnolinguistics, the term collocation refers to various stereotyped behaviors (customs, rituals) reinforced by tradition that are expressed by a solid linguistic unit. The Svan is characterized by the richness, variety, and archaicness of vocabulary, phraseology, and collocations depicting different traditions and customs.

In Kartvelology, it is considered that Svan is the most archaic among the Kartvelian languages. Accordingly, the ethnolinguistic research of Svan phraseology and collocations related to customs and rituals provides an opportunity to draw extremely interesting conclusions.

The Svan collocations related to Limoorew are: **Ghed I Samartal** (ღედ ი სამართალ) – Law; **Moorew Mare** (მოორეჲ მარე) - Judge, case settler, mediator; **Limoorew** (ლიმოორეჲ) - Judgment, sentencing, justification, mediation; **Bachi**

³ The research was carried out with the financial support of the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (**grant project No. FR-21-2100**)

Liljeni (ბაჩი ლილჯენი) – “Planting a stone, Laying the Stone” - judgment, settlement of the case, the end of mediation; **Litsvri** (ლიწვრი) - Blood Revenge (Blood Feud); **Limbanaal** (ლიმბანაალ) - Swearing during mediation (cf. **Ligvne** (ლიღვნე)- swearing a dear person, meaning: I swear); **Very Makdeni** (ვერი მქდენი) - A traitor; **Lichviibe** (ლიჩვიიბე) - oppression, scorn; **Limtsodaal** (ლიმწოდაალ) - Justification, self-righteousness, mediation; **Naertgulemi Maghvra** (ნაერთგულემი მაღვრა) - Oath of Loyalty.

The publication offers an ethnolinguistic analysis of collocations, delving into the context, structure, and semantics surrounding their usage. The study explores the intricate interplay of phraseology, revealing that in Svan, collocations exhibit diverse structures, encompassing both verb components and Oden house structures.

Within Kartvelology, Svan is regarded as the most archaic among the Kartvelian languages. Consequently, the ethnolinguistic examination of Svan phraseology, particularly those associated with law, customs, and rituals, opens the door to compelling conclusions.

KeyWords: Svan, Archaic, Collocation, Ethnolinguistic, Customs.

შესავალი. სვანეთი ქართული ეთნიკური სამყაროს, ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის უძველესი კერაა, სვანები თავიანთი სამეურნეო, ეკონომიკური თუ კულტურული ცხოვრებით უხსოვარი დროიდანვე ქმნიან ქართველი ერის ერთიან ისტორიას. ქართველოლოგები სვანეთს – ქართული კულტურის ნამდვილ სავანეს, სრულიად დამსახურებულად უწოდებენ საქართველოს ოლიმპოს და ეთნოგრაფიულ „კალეიდოსკოპს“.

თანამედროვე ლინგვისტიკის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს სიტყვათა კომბინატორული პოტენციალის გამოვლენა სხვადასხვა ენებში, რაც განსაკუთრებით აქტუალური გახდა კორპუსლინგვისტიკის განვითარების პირობებში. ამასთან ერთად, ლინგვისტიკაში დღესაც აქტუალურ პრობლემად რჩება ენისა და კულტურის, ენისა და საზოგადოების, ენისა და ადამიანის ურთიერთმიმართება (ენა კულტურაში და კულტურა ენაში, ენა საზოგადოებაში და საზოგადოება ენაში, ენა ადამიანში და ადამიანი ენაში), რაც მოითხოვს, რომ ეს მიმართებები თვალსაჩინოდ იქნეს ნაჩვენები კონკრეტული ფაქტებით.

რამდენიმე სიტყვა ეთნოლინგვისტური ტერმინის – კოლოკაციის შესახებ: ნებისმიერი ხალხის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მკაფიოდ თვალსაჩინოა ადამიანთა ურთიერთობების, ქცევის ნორმებისა და ქმედებების სტერეოტიპულობა, რაც განმტკიცებულია ტრადიციებით. ამგვარი წეს-ჩვეულებებისა და რიტუალებისთვის დამახასიათებელია მდგრადობა და რეგულარობა – ერთი და იმავე სახით მრავალჯერ განმეორებადობა, რაც სათანადო ასახვას

ჰოვებს ენამიც: „ტრადიციებით გამაგრებული ესა თუ ის მყარი სტერეოტიპული ქცევა, ქმედება თუ მოვლენა (წეს-ჩვეულება, რიტუალი) ტრადიციული საზოგადოების დისკურსში მყარი ენობრივი ერთეულით – კოლოკაციით არის ხოლმე სახელდებული და გამოხატული“ [აზმაიფარაშვილი, 2020: 16].

დისკუსია. სვანური ენა ხასიათდება წეს-ჩვეულებების, რიტუალების, ჩვეულებითი სამართლის (ლიმოორევი) ამსახველი ლექსიკის, ფრაზეოლოგიზმების, კოლოკაციების სიმდიდრით და მრავალფეროვნებით. ეთნოლინგვისტური ასპექტით კვლევა აუცილებლად გულისხმობს შესწავლილ იქნას კოლოკაციების გამოყენების ეთნოგრაფიული კონტექსტი, სემანტიკა და სტრუქტურა-აღნაგობა, ანუ სიტყვათმეხამებების კომბინატორული მექანიზმი.

სვანურ ლიმოორევთან (შუამდგომლობა, განსჯა, მედიატორობა) დაკავშირებული კოლოკაციების საანალიზო მასალა ამოკრებილია სვანური ენის ლექსიკონებიდან; ბ. ნიჟარაძის, ივ. მარგიანის, ე.კოჟევნიკოვას... ეთნოგრაფიული მემკვიდრეობიდან. საანალიზო მასალის დიდი ნაწილი წარმოდგენილია ასევე დალის ხეობის პირადი არქივიდან (1988–2008 წწ.) კოდორული საექსპედიციო ჩანაწერებიდან (2006–2008 წწ.).

სვანურ ლიმოორევთან „შუამდგომლობა, მედიატორობა“ დაკავშირებული სვანური კოლოკაციებია: მორევ მჟრე „მსაჯული, საქმის მომგვარებელი, მედიატორი“, ლიმორევ „განსჯა, მსჯავრის დადება, გამართლება, მედიატორობა“, ლიგერცაში „დაფიცება, ხატზე გადაცმა“, მგერცაში „დამფიცებელი, ხატზე გადამცემი“, ბაჩ ლილჯენი (<ქვის ჩარგვა) „განაჩენი, მედიაციის დასასრული“, ლიმწვედი / ლიმწოდლ „გამართლება, თავის მართლება“, ლიდვრნე „დაფიცება, ფიცზე მინდობა“, ნწერტგულჴმი მწდვრა „ერთგულების ფიცი“, ლწგნაჟი ლიგნე „ადგილმონაცვლეობა?“ მგერცაში „დამფიცებელი, ხატზე გადამცემი“, ბაჩ ლილჯენი საქმის მოგვარება (<„ქვის ჩარგვა“), ლიმწვედი / ლიმწოდლ „გამართლება, თავის მართლება“, ლუღვერ „დაფიცებული, ფიცზე მინდობილი“,

ლიწვრი „სისხლის აღება“, ლირგივლ „მორიგება“, ლიმბწნი/ლიმბანწლ „მედიატორობისას დაფიცება“ (მდრ. ლიდვნე „ძვირფასი ადამიანის დაფიცება, მნიშვნელობით: „გეფიცები“), ვერი მგქდენი „მოდალატე, მიწის ამცდენი“, ლეღლედ „სამართლიანი“, ლედი სამერთლ „კანონ-სამართალი“ (უღდ ლედიში სამერთლი მუმწჷინე თერქაღუ ოხჷზგზე უსამართლო სამართლის გამსწორებელი (გამმართავი) მაკრატელი გამომიგზავნეო [სვან. ლექსიკ. 2000:793]. ლიღლედი „სამართლიანად მიდგომა, სამართლიანი დამოკიდებულება“, ლლღლედ „სამართლიანობის უნარი“, ლიქბი/ლი-

ქაბუნაშ / ლიქაბუნე „თავის არიდება, აცდენა“, ლიწვრი „სისხლის აღება“, ლიმშერაშ „დარდის ამოთქმა, შეჩვილება“, ლინწამურე-ლივარგულე „ახლობლობა და ერთგულება“, თერწლისგა ტეტი ლიშდე „მოტყუება, გამას-ხარავება, ზედმიწ.თვალში ნაცარ-ტუტის მიყრა“, მერმემი შიწრშვ ცხენდრე ლიკედ „სხვისი მეოხებით რთული საქმის მოგვარება, ზედმიწ. სხვისი ხელებით ნაკვერჩხლების აღება. შდრ. სხვისი ხელით ნარის გლეჯა“, ლიმ-ჯაშ „სინანული, სამდურავის თქმა“, ლისემწაშ „აჯა, მუდარა, დახმარების თხოვანა“, ლიჩვრბე „ჩაგვრა, აბუჩად აგდება“, ლიჩქვევი/ლიჩქვანდე „და-ჩოქება“, ყაბულს ლიკედ „დათანხმება, ზედმიწ. ყაბულს მოსვლა“, გუდ ლი-კედ „მიხვედრა. ზედმიწ. გულად მოსვლა“, ლირგიწაშ „შერიგება, მორიგე-ბა, დარიგება“ (ლირგავაშლს ზეთ ესერ ხოწურ (ანდ.) [სვან.ლექსიკ. 2000:446] - შერიგება კარგი საქმეაო / შერიგებას ზეთი სდისო.

ეთნოლინგვისტიკაში ითვლება, რომ კოლოკაციათა შესწავლისას აუცი-ლებლად უნდა იქნას გათვალისწინებული არა მხოლოდ სემანტიკა და ლექ-სიკურ-ფრაზეოლოგიური თუ მორფოსინტაქსური ურთიერთობა კოლოკაცია-ში კომბინირებული სიტყვებისა, არამედ გარკვეული კონტექსტიც, რომელ-შიც ესა თუ ის კოლოკაცია გამოიყენება.

ეთნოგრაფიული კონტექსტის თვალსაზრისით საინტერესოა ლიმოორე-ვთან დაკავშირებული სვანური კოლოკაციები: ლწგნაჟი ლიგნე „ადგილ-მონაცვლეობა?“ წორწ ლიკედ „სისხლის საფასური / წორის აღება“, ლიმ-წვედი/ლიმწოდაშ „გამართლება, თავის მართლება“, ლიღვრბე „დაფი-ცება, ფიცზე მინდობა“, ბაჩწ ლილჯენი „ქვის ჩარგვა“, ბაჩწ ლილჯენი „ქვის ჩარგვა (საქმის მოგვარება)“, ლიგერცაში „დაფიცება, ხატზე გადაცემა“...

მაგ. 1927–36 წლებში სვანეთში (იფარში) მცხოვრები ე. კოჟევნიკოვა (ნ. მარის მოწაფე) ასე დეტალურად აღწერს სვანურ ლიმოორევთან დაკავში-რებულ სხვადასხვა რიტუალს, მაგ. წორწ ლიკედ „სისხლის საფასური“, წო-რის აღება: დაზარალებული ოჯახი, კომლი, მოსახლე თუკი მიცვალებულის, მკვდრის სწორს (სანაცვლოს) იღებს, მაშინ კაცის მკვლეელი აგზავნის მო-ციქულებს (შუამავლებს) მოკლულის ოჯახში (მკვდრის პატრონთან) და სთხოვს შერიგებას. როგორც წესი, მოციქულებად არჩევენ და აგზავნიან კარგ მოლაპარაკე კაცებს. მოციქულები სიტყვასიტყვით მოუყვებიან მკვდრის პატრონს ყველაფერს, რაც დააბარა კაცის მკვლელმა. და ასევე, რასაც და-ზარალებული მხარე, მიცვალებულის პატრონი დააბარებს, იმას ყოველი-ვეს სიტყვასიტყვით გადასცემენ მეორე მხარეს, ანუ დამზარალებელს (კა-ცის მკვლელს). სააბოლოოდ ამ შუამავლობით იქამდე მიჰყავთ საქმე, რომ კაცის მკვლეელი და მოკლულის პატრონი ოჯახები ირჩევენ მედიატორებს (მოორევ მარეებს) – ორივე მხარე თორმეტ–თორმეტ კაცს. მკვდრის პატ-

რონი ერთი კაცით მეტს, იგივე „მოსამატს“ ირჩევს. იმ კაცს ჰქვია მუწური (შურისმაძიებელი). მედიატორებად კი ირჩევენ ან თავთავიანთ ნათესა-
ვებს, ან გარე კაცებს, არანათესავეებს (მეჰერ მარააღს). მუწურის მოკლუ-
ლის პატრონი ან თავის მოგვარეს (მოძმეს) ან თავის ნათესავს ირჩევს.

მოორუალ (მედიატორები) რომ შეიკრიბებიან, პირველად დაზარალე-
ბული მხარე, მოკლულის პატრონი მასპინძლობს და აცნობს თავის სარ-
ჩელს. ამის მერე უკვე დამზარალელები მხარე – კაცის მკვლელი უმასპინ-
ძლდება და ეუბნება, აცნობს მედიატორებს თავის სათქმელს (თავის სა-
რჩელს). მედიატორები რომ დასხდებიან განსასჯელად და განაჩენის გა-
მოსატანად (წორს ჩუ ქუიცებს), მერე ეკითხებიან მუწურის. მუწური კიდეც ზე-
მოდან, მედიატორების მიერ გამოტანილ განაჩენზე დამატებით თვითონ
კიდეც თავის მხრივ გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას.

პირველად დაზარალელებული მედიატორებს წაიყვანს ეკლესიაში და დაა-
ფიცებს. დაზარალელებული მხარე (მოკლულის პატრონი) ამბობს დაფიცების
ტექსტს (ქა ხოგრცამი მოორუალს). მოორუალ (მედიატორები) ერთ რი-
გად ჩამწკრივდებიან. დამფიცებელი, ხატზე გადამცემი (მგრცამი) ამბობს
ფიცს (გარცამს): „დიდებაზე ამოგვლია იფარის წმინდა გიორგის! იფარის
წმინდაო გიორგი, მე ამორჩეული მყავს ეს ოცდაოთხი კაცი: შაუხან, ჩოფა,
ყაისინ, ათმურზა, გელა, მამურზა, ჯახუ, თაისაუ, გეგი, სოზარ, დეულეთ, ბექი,
აბი, ბატუ, აბრაამ, ბესი, ბიასლან, სეგზო, სორთმან, გაუ, ჭიტი, მონი, გუეგნი,
ზურაბ, როსტომ, გუჩა, დადამ, მურზაყან, ფუთა, ჟორჟლან – ესენი თუკი
მედიატორობისას და საქმის განსჯისას ჩემთვის ორგულნი და ცუდნი ყო-
ფილიყვნენ, მაშინ ვიდრე თითო თორმეტი ცალი თეთრი ხარი საკურთხის
ზვარაკად (ყუიჟდ) არ დაკლან, თეთრ ზღვაზე ვიდრე იერუსალიმის ხო-
რბალი არ გადმოიტანონ, და სეფისკვერების გამომცხობად თავად ღვთი-
სმშობელი (ლამაარია) ვიდრე არ მოიყვანონ! გამხმარი ხე ვიდრე ნელლად
და მწვანედ არ აქციონ, რამდენი წვეთი ნაწვიმარი წყალიც შენი სა-
ხურავიდან ძირს ჩამოვარდნილა (ლუკუეთხეელი), შენს ეზოსა და მდელო-
ებში რამდენი ღერი ბალახიცაა, ამდენი ვაცი თუკი არ დაკლან საკურთხის
სუფრისთვის (ყუიჟდ), მანამდე ამათი შველა (შოოლა!) არ ყოფილიყოს!

დამფიცებელი ამ ფიცს ანუ ხატზე გადაცემას (გარცამს) რომ დაამთავ-
რებს, მაშინ მედიატორები (მოორუე მარეები), სათითაოდ ყველა პასუხობს
გარდაცემას, პასუხობს ფიცს (აძლევს თანხმობას). მედიატორები პასუხო-
ბენ ასე: შაუხან, შენს ფიცზე ვართ მინდობილი (ლუღუერ), ერთგული და
გულწრფელი, რომ საქმის ვითარებიდან გამომდინარე რასაც კი ჩავწვდი,
რაც განვსაჯე, გავაანალიზე, უადრესად ვიყავი მოწადინებული და მონდო-
მებული სწორად გადაწყვეტისა და ამ გზით მხარეთა თანაბრობის მიღწე-

ვისა. თუ ეს ასე არ ყოფილიყოს, მაშინ შენი ფიცი და ხატიმც შემომწყრეს (ისგუ ნაგრცამ მეცუალ უ მარ).

დაზარალებული მხარე რომ დაასრულებს მედიატორების დაფიცებას, მერე უკვე მეორე მხარე დააფიცებს ხატის წინაშე ამ მოორეჲ კაცებს იგივე ფორმით და წესით. როგორც წესი, სისხლის საფასურის შემფასებლები სხვა გვარისანი არიან. მოკლულის პატრონი და მისი ნათესავები, მოგვარეები, მოძმეები მიდიან მკვლელის ოჯახში. ამ დროს მკვლელი შგნებულად მათ არ ხვდება, და ვერ ხვდება სახლში! ხვდებიან მხოლოდ მისი ოჯახის წევრები და მოძმეები. მოკლულის პატრონი და მისი თანმხლები პირები სუფრას რომ დასხდებიან, ამ დროს ჩოქებზე დამხობილი ტირილით და მოთქმით ამათ წინაშე გამოდის უკვე მკვლელი, რომელიც ტირის, მოთქვამს, გოდებს მოკლულის პატრონის წინაშე. ამის მერე ისევ მუხლებზე დაჩოქილი მკვლელი მოკლულის პატრონს ხმის ამოდებისთვის, ხმის გაცემისთვის (უშენაშმიერს) აძლევს საჩუქარს. მოკლულის პატრონი წამოაყენებს მუხლებზე დაჩოქილს.

დამზარალებელი, მკვლელი სისხლის საფასურს, წორს რომ სრულად გადაიხდის, მაშინ უკვე დაზარალებულ მხარეს, მოკლულის პატრონს, იმის ნათესავებს და მოძმეებს წაიყვანს შალიანში (შალიანის ხატი დაბრძანებულია კალის წმ. კვირიკესა და ივლიტას სახელობოს ეკლესიაში, ლაგურკაში) და იქ მთელი რიტუალებით დააფიცებს, რომ ამიერიდან მას არ უნდა უმტრონ. იქ იფიცებენ ერთგულებაზე (ნაერთულები მაადვრა!) „ლაგურკა შალიანო, ამიერიდან, თუკი დღეიდან, ამათმა მე მტრობა დამიწყონ, მაშინ შალიანის ხატი შემოსწყრეს მათ! მორეჲ მარეების მოღვაწეობით ასე სრულდება მტრობა და იწყება ერთგულება! [კოჟევნიკოვა, 1927. ფარი, საქაღალდე # 12]

ეთნოგრაფიული კონტექსტის თვალსაზრისით ასევე საინტერესოა, რომ სვანურ ლიმოორეჲში (ჩვეულებით სამართალში) კოლოკაცია ბაჩწ ლილჯენი სიტყვასიტყვით „ქვის ჩარგვა“ ნიშნავს საქმის მოგვარებას, სამართლის აღსრულებას, მედიაციის დასასრულს: მახვშის შემდეგ წინადადება მიეცემოდა ხნით უფროსს და ასე მორიგეობით თითოეული მსაჯული (მორეჲვი) იტყოდა თავის აზრს. ბოლოს ყველანი ერთ დასკვნამდე მივიდოდნენ. გადაწყვეტილების მიღების ნიშნად ერთ-ერთი მედიატორი აიღებდა პატარა ქვას (სწორედ ამ დროს სრულდებოდა ბაჩწ ლილჯენის რიტუალი), ამოთხრიდა მიწას იქვე და მსაჯულების თვალწინ ამ ქვას ჩააფლობდა. რიტუალს ორგვარი დანიშნულება ჰქონდა: აღნიშნავდა საქმის დასასრულს; მეორე - გამოტანილი გადაწყვეტილება საიდუმლოდ უნდა შენახულიყო სანამ მსაჯუ-

ლები (მოორევ მარეები) ერთად არ გამოუცხადებდნენ მხარეებს თავიანთ განაჩენს.

სვანურში ლიმოორევთან (ჩვეულებით სამართალთან) დაკავშირებულ კოლოკაციებში იკვეთება დაპირისპირება აქტიური და პასიური შინაარსისა, რაც ფორმოებრივადაც სხვადასხვა სტრუქტურული მოდელით გამოიხატება: ლიქბი/ლიქაბუნა „თავის არიდება, აცდენა“, ლინბანი/ლინბანა „დაფიცება“, ლიმწუდი/ლიმწოდა „გამართლება, თავის მართლება“, ლი-ჩქუტე-ი „მუხლდრეკა“ ლი-ჩქუნ-აჟელ „ჩამუხლვა მრავალგზის“ (აჟელ სუფიქსით დაბოლოებულ საწყისებში იგულისხმება მოქმედების ზოგადობა, მრავალგზისობა, დაუსრულებლობა).

საყურადღებოა სწორედ სვანურში მრავალფუნქციური -ა ზღოვრმანტიანი კოლოკაციების პასიური სემანტიკა ლი-ე/ლი-ი ყალიბის მასდარებთან მიმართებით: ლი-მწუდი-ი ითქმის მაშინ, როცა მსაჯულები (მორევ მარე-ბი) ასამართლებენ პირს, ლი-მწოდ-აჟელ კი იმ შემთხვევაში, როცა პირი თავად იმართლებს თავს.

ლინბანი / ლინბანა ქართულად ორივე „დაფიცებაა“, სვანურ ჩვეულებით სამართალში ლინბანი ითქმება მაშინ, როცა მსაჯულები (მორევ მარე-ბი) აფიცებენ, ლინბანა კი იმ შემთხვევაში, როცა განსასჯელი იფიცებს თავად. შესაბამისად, სალიტერატურო შესატყვისები – „გამართლება“ „დაფიცება“, თავის არიდება“... ვერ ასახავს ამ ფორმებს (ლიმწუდი/ლიმწოდ-აჟელ, ლინბანი/ლინბანა, ლიქბი/ლიქაბუნა...) შორის სვანურში არსებულ შინაარსობრივ სხვაობას.

კოლოკაციებში გამოხატული ეს სხვაობა აისახება ზმნურ სიტყვათწარმოებაშიც:

ლი-მწუდი-ი „გამართლება“	>	ამწუდი (ეჯა ეჩას)	„ამართლებს“
ლი-მწოდ-აჟელ „გამართლება“	>	იმწოდა (ეჯა)	„მართლებს“
ლი-ნბანი-ი „დაფიცება“	>	ანბანი (ეჯა ეჩას)	„აფიცებს“
ლი-ნბან-აჟელ „დაფიცება“	>	ინბანა (ეჯა)	„იფიცება“

როგორია ლიმოორევთან დაკავშირებული სვანური კოლოკაციების სტრუქტურა ანუ კომბინატორული მექანიზმი, როგორია ამა თუ იმ მეტყველების ნაწილთა როლი და წილი მყარი ენობრივი ფორმების „შენების“ საქმეში.

მორევ მარე „მსაჯული კაცი“ სინტაგმაა, მსაზღვრელ-საზღვრულია; ლი-მორევ „საქმის მოგვარება, მსჯავრის დადება, მედიატორობა“ საწყისია; მე-მორევ „სვანური სამართლის აღმასრულებელი, მსაჯული, მომრიგებელი“ მოქმედებითი გვარის მიმღებია; ლე-მორევ „განსასჯელი საქმე, სამედიატორო“ ვნებითი გვარის მიმღებია;

დედ ი სამერთაჲლ „კანონ-სამართალი“ კომპოზიტია...

სვანურში ლიმოორევთან, ჩვეულებით სამართალთან დაკავშირებული ზმნურკომპონენტიანი სტრუქტურის კოლოკაციებია: ლიდვრნე „დაფიცება, ფიცზე მინდობა“, ლიგვრცჳმი „დაფიცება, ხატზე გადაცმა“, ლგნაჟი ლიგნე „ადგილმონაცვლეობა“, ლიჩვრბე „ჩაგვრა, აბუჩად აგდება“, ლიჩჟჳეჟი „მუხლდრეკა“, ლიჩჟჳნდჳლ „ჩამუხლვა მრავალგზის“, ყაბულს ლიჯედ „დათანხმება“...

ოლენსახელურკომპონენტიანი სტრუქტურის კოლოკაციებია: მგვრცჳმი „დამფიცებელი, ხატზე გადამცემი“, მორევ მწრე „მსაჯული, მედიატორი“, ნწერთგულჳმი მწდვრა „ერთგულების ფიცი“, დედ ი სამერთაჲლ „კანონ-სამართალი“, ვერი მექდენი „მოდალატე, მიწის ამცდენი“, ეჳმდჳრი ლუფხვილ მწრე „მითითებით ამორჩეული 12 მედიატორი“...

სვანურში ლიმოორევთან (განსჯა, სამართალი, მედიატორობა) დაკავშირებული კოლოკაციები სემანტიკური თვალსაზრისით იმდენად თავისთავადია, რომ ხშირად ჟირს სალიტერატურო ქართულზე აზრის, შინაარსიის ზუსტად გადმოტანა (მით უფრო, სინტაგმური ფორმით!) მაგ. ლგნაჟი ლიგნე „ადგილმონაცვლეობა?“ სვანური ენის არქაული ბუნებიდან გამომდინარე, ეს თითქმის ასევე უნდა იყოს: სიტყვაწარმოება და ფრაზეოლოგია ხომ ენის შიდაფორმის ერთ-ერთი მკაფიო გამოვლინებაა და, ამდენად, შეიცავს ინფორმაციას ენობრივი მსოფლხედვის შესახებ“ (ვ. ფონ ჰუმბოლდტი). ყოველი ენა თავისი სემანტიკური სტრუქტურით გამოირჩევა. „რამდენადაც ენა გვეძლევა არა ზოგადი ფორმით, არამედ როგორც მხოლოდ დედაენა, ე.ი. გარკვეული ენის ქართულის, ფრანგულის, ჩინურის ... სახით, „მსოფლხედვა“ დედაენისეულია და ყოველ ენას (დედაენას) სამყაროს ენობრივი მოდელირების საკუთარი წესი, სამყაროს ენობრივი გადამუშავების საკუთარი „მსოფლხედვა“ აქვს (გ. რამიშვილი).

დასკვნა. ამრიგად, სვანურში გამოვლინდა ლიმოორევთან (განსჯა, მედიატორობა, სამართალი) დაკავშირებული ათეულობით კოლოკაცია. პუბლიკაციაში წარმოდგენილია ამ კოლოკაციათა ეთნოლინგვისტური ანალიზი; შესწავლილია ფრაზემებისა და ტერმინების გამოყენების კონტექსტი და სტრუქტურა. გაირკვა, რომ აღნაგობის მიხედვით სვანურში გვხვდება როგორც ზმნურკომპონენტიანი, ასევე ოდენ სახელური სტრუქტურის (არსებითი სახელი + არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი, მიმღეობა + არსებითი სახელი, არსებითი სახელი + მიმღეობა) კოლოკაციები.

გამოყენებული ლიტერატურა:

- აზმაიფარაშვილი, ლ. (2020). ლევან აზმაიფარაშვილი. სიტყვაწარმოებისა და ფრაზეოლოგიის ეთნოლიგვისტური შესწავლისათვის, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. 48, თბილისი, თსუ გამომცემლობა.
- ნიჟარაძე, ბ. (1962). ბერიონ ნიჟარაძე, თვისუფალი სვანი. ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- თოფურია, ვ. ქალდანი, მ. (2000). ვარლამ თოფურია, მაქსიმე ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი, გამომცემლობა „ქართული ენა“.
- სნძ (1986). სვანეთის წერილობითი ძეგლები, (ტექსტები გამოსაცემად მოამზადა ვალერი სილოგავამ) ტ. I 1986 წ. ტ. II თბ. 1988 წ. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“.
- ფენრიხი, სარჯველაძე, (1990). ჰაინც ფენრიხი, ზურაბ სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, თსუ გამომცემლობა.
- კოჭევნიკოვა, (1927) ევდოკია (დინა) კოჭევნიკოვა. სვანური ტექსტები [ხელნაწერი 1200 გვერდი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი]
- კოჭევნიკოვა, დ. (2023) დინა კოჭევნიკოვა. ეთნოგრაფიული ჩანაწერები, თბილისი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი.
- ლიპარტელიანი, ა. (1994). ასლან ლიპარტელიანი. სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოლურული კილო). თბილისი.
- მიბჩუანი, თ. (1989) თემურ მიბჩუანი, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- წერედიანი, ნ. (2023). ნინო წერედიანი, ლატალიდან დღეობებით სამყაროზე მოყოლილი ამბები. თბილისი, გამომცემლობა „ფავორიტი“.
- ჯავახიშვილი, ივ. (2002). ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“.